ცხადდება კონკურსი

DAAD-ს აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის სტიპენდიების მოსაპოვებლად ადმინისტრაციული პერსონალიათვის, აკადემიური პერსონალისთვის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი) და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის (მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, მეცნიერ თანამშრომელი) რომელებიც მიმდინარე სასწავლო წელს ჩართულები არიან პროფილური ფაკულტეტის სასწავლო პროცესში

კონკურსის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ ერთი უნივერსიტეტის არჩევა

გერმანია

უნივერსიტეტი	**ფრაიბურგის კათოლიკური უნივერსიტეტი**
მიმართულება	სოციალური მუშაობა
მობილობის ტიპი	**აკადემიური**
მობილობის ენა	ინგლისური
ღონისძიება	6-12 ივლისის პერიოდში ერთობლივი საზაფხულო კურსისა და სემინარის ჩასატარებლად
ვებ-გვერდი	http://www.kh-freiburg.de/
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

თურქეთი

უნივერსიტეტი	**ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი (METU)**
მიმართულება	საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ის პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტების და პერსონალის მობილობაზე, უცხოელი სტუდენტების და პერსონალის მომსახურებაზე
მობილობის ტიპი	**ადმინისტრაციული**
მობილობის ენა	ინგლისური
ღონისძიება	2026 წლის 8-12 ივნისი, მე-10 საერთაშორისო პერსონალის კვირეული Erasmus+ შერეული ინტენსიური პროგრამის (BIP) ფარგლებში
დამატებითი ინფორმაცია	გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასპინძელი უნივერსიტეტის წესების შესაბამისად, **სტიპენდია გაიცემა მხოლოდ ახალ აპლიკანტებზე,** ანუ, იმ პერსონალზე, რომელსაც არ უსარგებლია ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის სასტიპენდიო პროგრამის დაფინანსებით
ვებ-გვერდი	https://ico.metu.edu.tr/slider/10th-metu-erasmus-international-staff-training-week
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

უნივერსიტეტი	**სტამბულის უნივერსიტეტი**
მიმართულება	გინეკოლოგია
მობილობის ტიპი	**აკადემიური**
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2025-2026 აკადემიური წელი
ვებ-გვერდი	https://www.istanbul.edu.tr/en/
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

პოლონეთი

უნივერსიტეტი	**სოციალური და მედია კულტურის უნივერსიტეტი ტორუნში / University of Social and Media Culture in Toruń**
მიმართულება	პოლიტიკის მეცნიერება, საერთაშორისო ურთიერთობები
მობილობის ტიპი	**აკადემიური *(კონფერენციაში მონაწილეობის ჩათვლით)***
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2026 წლის 25-29 მაისი
ვებ-გვერდი	https://www.aksim.edu.pl/
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

აპლიკანტთა შესარჩევი პროცესი:

- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. პასპორტის ასლი;
2. ცნობა სამსახურიდან (ინგლისურ ენაზე);
3. CV-ს ევროპული ფორმატი ინგლისურ ენაზე https://europa.eu/europass/en/create-europass-cv
4. აპლიკანტის ინფორმირებული თანხმობის ფორმა (გთხოვთ, ჩამოტვირთეთ დანართი 2, შეავსეთ გამოტოვებული ველები, ამობეჭდეთ, ხელი მოაწერეთ, დაასკანერეთ და ატვირთეთ pdf ვერსია);
5. შევსებული სამუშაო გეგმა **(Mobility Agreement)** ინგლისურ ენაზე:
   5.1 აკადემიური პერსონალის/სწავლების მიზნით მობილობის (Staff Mobility for Teaching) შემთხვევაში: სამუშაო გეგმა უნდა მოიცავდეს 8 სალექციო საათს კვირაში; დოკუმენტი უნდა იყოს დამოწმებული თსუ- ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით და ბეჭდით; დანართი (**Mobility-Agreement Teaching-2025);**
   5.2 აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგის მიზნით მობილობის (Staff Mobility for Training) შემთხვევაში: შევსებული მობილობის ხელშეკრულება თსუ-ს შესაბამისი სამსახურის/დეპარტამენტის ხელმოწერით დამოწმებული; (**Mobility-Agreement Training-2025)**
6. მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი (pre-acceptance) (ოფიციალური წერილი სავალდებულო არ არის, საკმარისია მეილით მიღებული თანხმობა/დაინტერესების დასტური, რომელიც გაცემული იქნება მასპინძელი უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური მიმართულების სამდივნოს ან/და პროფესორის მიერ).

მობილობის პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებული აკადემიური ან/და ადმინისტრაციული პერსონალი უნდა დარეგისტრირდეს გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე mobility.tsu.ge და ატვირთოს სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) და გამოგზავნოს განაცხადი ელექტრონულად მიმდინარე წლის 5 აპრილის 14:00 საათამდე (თბილისის დროით).

- *გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა ან/და ატვირთული დოკუმენტ(ებ)ის გამოცვლა შეუძლებელია;*
- *რეკომენდატორის მიერ რეკომენდაციის შევსების და გამოგზავნის გარეშე სააპლიკაციო განაცხადის გამოგზავნა არ არის შესაძლებელი. შესაბამისად, მშვნელოვანია რეკომენდატორი ჯეროვნად ინფორმირებული იყოს განაცხადის გამოგზავნის დედლაინის თაობაზე*

<u>დამატებითი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:</u>

ა) გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონული სარეგისტრაციო პორტალის mobility.tsu.ge გამოყენებასთან დაკავშირებული პირობები:

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პორტალი mobility.tsu.ge არ არეგისტრირებს განაცხადებას ზემოთ

- მითითებული ვადის (5 აპრილის 14:00 სთ) გასვლის შემდეგ;
- პორტალი mobility.tsu.ge არ არეგისტრირებს არასრულ სააპლიკაციო პაკეტს. სააპლიკაციო განაცხადი ელექტრონულად ჩაბარებულად ითვლება მხოლოდ გაგზავნის ღილაკის დაჭერის შემდეგ. სააპლიკაციო დოკუმენტაციის წარმატებით გამოგზავნის შემდეგ აპლიკანტი მეილზე მიიღებს შესაბამის შეტყობინებას.
- **გასაუბრება ჩატარდება 6 აპრილიდან 8 აპრილამდე დროის მონაკვეთში**, ზუსტი თარიღი, დრო და ადგილი ინდივიდუალურად დაეგზავნება ყველა აპლიკანტს პორტალზე [mobility.tsu.ge] მითითებულ საკონტაქტო ელ-ფოსტაზე; **გასაუბრება ტარდება ცოცხალ რეჟიმში.**

ბ) ფინანსები და მობილობასთან დაკავშირებული სხვა პირობები:

- **<u>გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი მიმღები უნივერსიტეტი ანაზღაურებს როგორც სამუშაო, ასევე ერთ ან ორ სამგზავრო დღეს, რაც განიხილება მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ ნომინაციისა და სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღების შემდგომ.</u>**

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე *outgoing.staff@tsu.ge*